შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ"

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

"6" თებერვალი 2019 წელი

N 22/36

ეგზ: N:1

სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების
სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო
შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა **3**

1. შესავალი **9**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 9

აუდიტორის პასუხისმგებლობა 9

აუდიტის საგანი 10

აუდიტის მასშტაბი 10

აუდიტის კრიტერიუმები 10

აუდიტის მიზანი 11

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ 11

2. აუდიტის მიგნებები **14**

2.1 პროექტების არათანმიმდევრული განხორციელება 14

2.2 სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები – არაკონკურენტული ტენდერები 18

2.2.1 შესყიდვის საშუალების არასწორად შერჩევა 20

2.2.2 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული არაპროპორციული მოთხოვნები 25

2.3 შესყიდული ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენება 27

2.4 ხარჯთაღრიცხვის არასწორად შედგენის შედეგად ზედმეტად გადარიცხული თანხები 28

2.5 სასაქონლო და ფულადი გრანტების მიზანშეწონილობის საკითხები 29

2.6 ა(ა)იპ – MIA FORCE-ის მიერ მიღებული გრანტის ხარჯვა 32

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

პროექტების არათანმიმდევრული განხორციელების შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში სააგენტოს სახსრები არაეფექტიანად დაიხარჯა, კერძოდ:

1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების პრაქტიკული გამოცდა უნდა ჩატარებულიყო რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში. აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2018 წლის 1 სექტემბრამდე. პროექტის განსახორციელებლად სააგენტომ შეისყიდა ავტომანქანები, მიკროავტობუსები, მოტოციკლები და აღჭურვა ისინი კამერებით, ასევე განახორციელა მოედნების მოწყობა, გადაამზადა გამომცდელი პერსონალი. 2017-2018 წლებში პროექტის განსახორციელებლად დაიხარჯა 7 მლნ ლარზე მეტი. შესაბამისად, სააგენტომ სრულყოფილად შეასრულა თავისი ვალდებულება ასოცირების შეთანხმების შესრულების მიზნით. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა არ იყო მომზადებული და მუნიციპალიტეტებს არ ჰქონდათ ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულებული, ვერ იქნა მიღწეული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მიზანი - გამოცდის ჩატარება რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში.

   მიმდინარე პერიოდში (2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით) სააგენტოს მიერ შესყიდული ზემოაღნიშნული ქონება გამოუყენებელია. საგამოცდო მანქანებს ამოეწურა 2-წლიანი საგარანტიო ვადიდან 1 წელი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სააგენტომ კომპანიასთან შეთანხმებით ვადა დამატებით 1 წლით გააგრძელა. რაც შეეხება **საგამოცდო სისტემას,** მას გარანტიის ვადა ამოეწურა, შესაბამისად ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, არსებობდა რისკი, რომ სააგენტოს დამატებითი თანხების გადახდა მოუწევდა, თუმცა სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდა შეთანხმება საგამოცდო სისტემაზე გარანტიის ვადის 1 წლით გაგრძელების თაობაზე.

2. **ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვა –** სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის[1] ფარგლებში, სააგენტომ გამარტივებული წესით შეისყიდა 28 ერთეული ნომრის ამომცნობი კამერა, ღირებულებით – 100,660 ლარი.[2] ვიდეოკამერები უნდა ჩართულიყო შსს-ს ერთიან ოპტიკურ ქსელში. აღნიშნული შესყიდვის საფუძველი იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება, რის გამოც საქართველოს მთავრობის მიერ სააგენტოს უფლება მიეცა ტენდერის გარეშე შეესყიდა საქონელი. შესყიდული კამერები 10 თვის განმავლობაში სააგენტოს საწყობში ინახებოდა და შემდგომ გადაეცა ერთობლივი ოპერაციების ცენტრს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის საფუძველი. ერთობლივი ოპერაციების ცენტრის განმარტებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მოწყობის პროცედურები დასრულებული არ იყო და ამიტომ ვერ განხორციელდა კამერების დროული მიღება/მონტაჟი, ხოლო სააგენტოს განმარტებით, მათთვის ცნობილი არ იყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მდგომარეობა. დღეის მდგომარეობით, ყველა კამერა ჩართულია შსს-ს ერთიან ქსელში. ზემოაღნიშნული საკითხი უკავშირდება პროექტის არათანმიმდევრულ განხორციელებას, რაც დამოკიდებული არ იყო სააგენტოზე.

სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები

კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა 2017 წელს ჩატარებული ტენდერების 43%. არაკონკურენტული ტენდერები ზოგიერთ შემთხვევაში, არაპროპორციულმა სატენდერო მოთხოვნებმა, საქონლის ტექნიკური მახასიათებლების ზედმიწევნით დეტალურმა განსაზღვრამ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – შესყიდვის საშუალების შერჩევის ნაკლოვანებამ გამოიწვია, კერძოდ:

1. საქართველოს შესყიდვების შესახებ კანონით, განსაზღვრულია ექსკლუზიური შესყიდვის ფორმა (გამარტივებული წესით, ტენდერის გარეშე), ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული სპეციფიკის საჭიროება და **უკვე შექმნილი წინაპირობები** ვერ უზრუნველყოფს გამოცხადებულ ტენდერში კონკურენციას. თავის მხრივ, ექსკლუზიური შესყიდვა მთავრობასთან შეთანხმებას და მეტი არგუმენტის წარდგენას, შესაბამისად, უფრო მეტი პასუხიმგებლობის აღებას მოითხოვს. აქედან

[1] პროექტი: „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“.
[2] სამინისტრომ შესყიდვის ფარგლებში ჩაატარა ბაზრის კვლევა, რის შედეგად შეირჩა მიმწოდებელი კომპანია.

გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ტენდერი არ გამოცხადდეს ფორმალურად.

სააგენტოს მიერ მართვის უფლების მისაღები **საგამოცდო მანქანების** შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა ტენდერი, სადაც კონკრეტული საჭიროებებიდან და მითითებული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ერთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. სატენდერო მახასიათებლები შესაბამისობაში იყო SKODA-ს მარკის ავტომანქანასთან. სააგენტოს განმარტებით, კონკრეტული მოდელისა და სპეციფიკაციების ავტომანქანის შესყიდვა აუცილებელი იყო უკვე შექმნილი წინაპირობებიდან და ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (საგამოცდო მოედნების გზები მოწყობილია სიგნალებით, რომლებიც ადგენს მძღოლის გადაცდომას, ხოლო აღნიშნული მოედნების პარამეტრები 2011 წლიდან მოწყობილი იყო SKODA-ს მანქანის პარამეტრებზე). შესაბამისად, ასეთ პირობებში ტენდერის გამოცხადება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და სცდება შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესყიდვის ელექტრონული წესით განხორციელების პრინციპს.

2. 2017 წელს სააგენტოს მიერ ტენდერის გზით განხორციელდა SKODA-ს მოდელის **საპატრულო მანქანების** შესყიდვა (ღირებულებით – 8,7 მლნ ლარი). წინა პერიოდში (2014-2015 წლებში) შესყიდული იყო FORD-ის მარკის საპატრულო მანქანები. FORD-ის ავტომანქანების შესყიდვა, თავის მხრივ, არაეკონომიური აღმოჩნდა და ამიტომ გადაწყდა მისი SKODA-ს მარკით ჩანაცვლება.

   სამინისტროში არ არსებობს დადგენილი და დამტკიცებული კრიტერიუმები, რომელსაც საპატრულო ავტომანქანები (საქართველოს გზების და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით) უნდა აკმაყოფილებდეს. სხვადასხვა წლებში ჩატარებულ ტენდერებში ტექნიკური მახასიათებლები განსხვავებულია და შესაბამისობაშია ავტომანქანის კონკრეტულ მარკასა და მოდელთან, რაც ვერ უზრუნველყოფს მინიმალურ კონკურენციას.

   აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ SKODA-ს მარკის ავტომანქანები, რომელთა შესყიდვა 2017 წელს განხორციელდა, საპოლიციო საქმიანობისთვის მისაღები ხარისხის მარკაა, რომელიც ევროპის არაერთ ქვეყანაში გამოიყენება, თუმცა არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს საპატრულო ავტომანქანის დადგენილი პარამეტრები, რომლებიც სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს გარკვეულ

კონკურენციას,[3] ხოლო განსხვავებულ შემთხვევაში (ფიქსირებული პარამეტრების და მოთხოვნის საჭიროებისას) უნდა არსებობდეს მყარი არგუმენტაცია.

ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენება

საპატრულო პოლიციისა და საგამოცდოდ შესყიდული ავტომანქანებიდან 10 ავტომანქანა განპიროვნდა სააგენტოს თანამშრომლებზე, (დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე), რაც არ არის შესაბამისობაში ავტომანქანების შესყიდვის მიზნებთან.

ხარჯთაღრიცხვის არასწორად შედგენის შედეგად ზედმეტად გადარიცხული თანხები

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სატენდერო ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებაში არსებული ხარვეზის შედეგად, სააგენტოს მიერ სამშენებლო კომპანიებისთვის ჯამურად ზედმეტად გადახდილია 16,517 ლარი. აუდიტის მიმდინარეობისას სააგენტომ თანხის დაბრუნების მიზნით, მიმართა კომპანიებს. შედეგად, ზედმეტად გადახდილი თანხის ნაწილი (7,925.77 ლარი) უკვე დაბრუნებულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

შესყიდვების გზით გაცემული სასაქონლო და ფულადი გრანტების მიზანშეწონილობის საკითხები

სააგენტოს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკუთარი შემოსავლებიდან ***9,817,800*** ლარი ნაშთის სახით ერიცხებოდა. 2017 წელს შემოსულობების სახით მიიღო 75,453,651 ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა **10,967,016.48 ლარი** შეადგინა. გარდა თავისუფალი ნაშთისა, სააგენტო აფინანსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა უწყებას, სხვადასხვა ფორმით, კერძოდ:

- ✓ სააგენტო აფინანსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს, რამაც 2017 წელს ***9,225,380.28 ლარი*** შეადგინა.
- ✓ გადასცემს ფულად სახსრებს ტრანსფერის საშუალებით, რამაც ***1,018,000.00 ლარი*** შეადგინა.
- ✓ სააგენტო თვითონ ახორციელებს შესყიდვას შსს სისტემაში შემავალი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საჭიროებისათვის და შესყიდულ საქონელს გადასცემს მათ, სასაქონლო გრანტის სახით – ***10,207,332.30 ლარი.***

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის მონაცემებით, სააგენტო, დაახლოებით, **20,5 მლნ ლარს** არ იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. შესაბამისად, ამ სახსრებით ხდება ისეთი

[3] საპატრულო მანქანების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვერ იქნეს მიღწეული ფართო კონკურენცია.

აქტივობების დაფინანსება, რაც სამინისტროს ბიუჯეტით გათვალისწინებული არ იყო. აღნიშნული ხორციელდება საბიუჯეტო პროცესის დამოუკიდებლად და წარმოშობს კონტროლის რისკებს, ვინაიდან სააგენტოდან რესურსების განკარგვა ხორციელდება სააგენტოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და ჩასატარებელი პროცედურების გარეშე.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ – მომსახურების სააგენტოს

რეკომენდაცია N1:

პროექტების სათანადო მართვისა და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სააგენტომ სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს პროექტების მართვის ისეთი მექანიზმები/ პროცედურები და კონტროლის სისტემა, რომ დაცული იყოს თანმიმდევრულობისა და კოორდინირებული მუშაობის პრინციპები.

რეკომენდაცია N2:

მნიშვნელოვანია, სააგენტომ ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოებისას, განსაზღვროს შესყიდვის განხორციელების არგუმენტირებული საშუალება, კერძოდ, თუ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის ფორმით (ექსკლუზივი).

რეკომენდაცია N3:

საპატრულო მანქანების ეკონომიურად შესყიდვის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ავტომანქანის ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, რაც საჭიროა ქვეყნის რეალობაში საპატრულო პოლიციის საქმიანობისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღნიშნული მახასიათებლები იყოს იმგვარი, რომ მიუხედავად სპეციფიკურობისა, უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს შექმნის მინიმალური სტანდარტი.

რეკომენდაცია N4:

მნიშვნელოვანია, სააგენტომ და სამინისტრომ უზრუნველყონ სააგენტოს შემოსულობებისა და გადასახდელების, ასევე მისი საქმიანობისთვის აუცილებელი ფულადი რესურსებისა და

თავისუფალი ნაშთის ოდენობების გაანალიზება; ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღება თავისუფალი ნაშთის ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის საკითხის შესახებ.

სსიპ – მომსახურების სააგენტოს

რეკომენდაცია N5:

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მნიშვნელოვანია, პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნების განსაზღვრისას, სააგენტომ უზრუნველყოს სატენდერო მოთხოვნების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის დაბალანსებულად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ტენდერებში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და შესაძლებელს გახდის სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N6:

საკუთარი სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს შესასყიდ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების სწორი გაანგარიშება, შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, როგორც სატენდერო ხარჯთაღრიცხვის შედგენის, ისე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების დროს. ასევე სააგენტომ უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების სახაზინო ანგარიშზე დაბრუნება.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სსიპ – მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სსიპ – მომსახურების სააგენტოს მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების განკარგვა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა სსიპ – მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა, ასევე სასაქონლო და ფულადი გრანტების გაცემის მიზანშეწონილობის საკითხები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა სააგენტოს საქმიანობის 2017 წლის პერიოდი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის“ წარმოების წესის და პირობების შესახებ“;
- შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით და შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია;
- შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითება „მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის“;

- 2007 წლის 17 იანვრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N56 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის კრიტერიუმად ასევე გამოყენებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, საპატრულო პოლიციის მიერ ხშირად გამოყენებადი მანქანების მარკის დადგენის მიზნით.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სსიპ – მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- ✓ სააგენტოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების) ნებართვის გაცემა და რეგისტრაცია;
- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია;
- ✓ სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობის გაცემა;

- ✓ ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა და ა.შ.

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებებისთვის დაწესებულია სხვადასხვა ოდენობის მომსახურების საფასურები, რომლიდან მიღებული შემოსავლები ხმარდება, როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე შსს-ს სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება წლების მანძილზე არ მიუღია. 2017 წელს სააგენტოს შემოსულობებმა სულ ***75,453,651 ლარი*** შეადგინა.

ცხრილი N1. *ინფორმაცია სააგენტოს 2017 წლის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შესახებ*

დასახელება	**2017 წელი**	
	თანხა	**ხვედ. წილი (%)**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**9,817,800.03**	
შემოსულობები	**75,453,651.00**	
მათ შორის:		
სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია / ჩამოწერა (ნომრის და ტექ. პასპორტის გაცემა; დაზიანებულის და დაკარგულის აღდგენა)	42,689,066	56.58
სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა	13,425,951	17.79
ცნობის გაცემა (სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; საზღვრის კვეთის შესახებ; პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ; ნასამართლობის შესახებ; გირავნობის რეგისტრაცია)	10,965,702	14.53
სატრანსპორტო საშუალების ექსპერტიზა/დათვალიერება/შეფასება	3,962,540	5.25
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი (სს „ლიბერთი ბანკი“)	2,409,345	3.19
სხვა შემოსავლები[4]	2,001,047	2.65
გადასახდელები	**74,304,434.55**	
ხარჯები	**55,714,045.09**	**74.98**
მათ შორის:		
შრომის ანაზღაურება	11,950,906.79	21.45
საქონელი და მომსახურება	5,744,348.37	10.31
გრანტი[5]	21,547,334.98	38.67
სოციალური უზრუნველყოფა	218,055.68	0.39
სხვა ხარჯები[6]	16,253,399.27	29.17
არაფინანსური აქტივების ზრდა[7]	**18,435,748.83**	**24.81**
ვალდებულების კლება	**154,640.63**	**0.21**
ნაშთი პერიოდის ბოლოს:	**10,967,016.48**	

[4] დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია, თარგმნა უცხოურ ენაზე, ორგანიზაციებზე ინფორმაციის გაცემა, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დაკისრებული სანქცია, ჯარიმა და საურავი.

[5] შსს-სა და სტრუქტურული ერთეულების დაფინანსება – 10,243,380.28 ლარი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი თანხა (საკუთარი შემოსავლების არანაკლებ 10%) – 7,529,835.63 ლარი, სპორტული კლუბი ა(ა)იპ – MIA FORCE – 3,750,000 ლარი, CIECA-ს საწევრო (საგზაო უსაფრთხოებისა და მძღოლთა შემოწმების საერთაშორისო ორგანიზაცია) – 24,119.07 ლარი.

[6] სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა, პერსონალის დაზღვევა, ქონების გადასახადი, დღგ-ის გადასახადი, ჩასათვლელი დღგ, საბაჟოზე შემოტანილი საქონლის დღგ-ის თანხა, მოგების გადასახადი.

[7] მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 14,704,692.10 ლარი (მათ შორის: საპატრულო პოლიციის მანქანები – 9,158,849.3 ლარი, საგამოცდო მანქანები – 3,309,798.82 ლარი), შენობა-ნაგებობები – 310,692.89 ლარი, მატერიალური მარაგები – 2,738,505.64 ლარი და ა.შ.

სააგენტოს საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით არსებულ თანხაზე ერიცხება სარგებელი (წლიურად 17%), 2017 წელს აღნიშნულმა თანხამ 2,409,345.40 ლარი შეადგინა.

***ცხრილი N2**. ინფორმაცია 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ*

შესყიდვის საშუალება	**რაოდენობა**	**ღირებულება**	**ვალუტა**	**ფაქტობრ. ხარჯი**	**ვალუტა**
ტენდერის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის:					
კონსოლიდირებული	26	1,686,187.56	GEL	1,194,391.05	GEL
ერთობლივი ელექტრონული ტენდერი[8]	6	788,105.94	GEL	552,718.25	GEL
გამარტივებული ელ. ტენდერი	41	1,997,583.70	GEL	1,817,020.43	GEL
ელექტრონული ტენდერი	42	470,515.88	EURO	95,518.50	EURO
		791,055.00	USD	791,055.00	USD
		14,182,402.27[9]	GEL	**13,675,330.34**	GEL
გამარტივებული შესყიდვით, მათ შორის:					
გადაუდებელი აუცილებლობით (ერთობლივი)[10]	3	31,181.59	GEL	28,181.59	GEL
მონეტარული ზღვრების ფარგლებში	457	4,579.94	EURO	4,579.94	EURO
		155,577.45	GEL	154,027.45	GEL
სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების ფარგლებში	14	322,928.96	GEL	279,349.16	GEL
განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი	22	449,322.00	GEL	269,617.45	GEL
ექსკლუზივი[11]	2	34,500.00	GEL	34,320.00	GEL
		29,120.00	EURO	29,120.00	EURO
სხვადასხვა	217	4,499.25	EURO	4,499.25	EURO
		31,690.00	USD	31,690.00	USD
		112,283.96	**GEL**	99,366.67	**GEL**
სულ გაფორმებული ხელშეკრულებები:	**830**	**19,760,073.43**	**GEL**	**18,104,322.39**	**GEL**
		508,715.07	**EURO**	**133,717.69**	**EURO**
		822,745.00	**USD**	**822,745.00**	**USD**

[8] ავტომანქანების დაზღვევა, პერსონალის დაზღვევა, ავტომანქანების ტექმომსახურება.
[9] საპატრულო პოლიციის მანქანები – 9,158,849.3 ლარი, საგამოცდო მანქანები – 3,309,798.82 ლარი და ა.შ.
[10] ავტომანქანებისა და პერსონალის ერთი თვით დაზღვევა.
[11] დაცვითი - მომსახურება, ლაზერული გრავირების პრინტერის ტექმომსახურება.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 პროექტების არათანმიმდევრული განხორციელება

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებულია ვალდებულება,[12] რომლის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა უნდა ჩატარებულიყო ***რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში.*** აღნიშნული დირექტივის განმახორციელებელი ორგანოებია შინაგან საქმეთა სამინისტრო და სააგენტო. დირექტივა ძალაში 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა, ხოლო იმპლემენტაციის ბოლო ვადა იყო 2018 წლის 1 სექტემბერი.

სააგენტოს მიერ დაიწყო შესაბამისი კანონპროექტის შემუშავებაზე მუშაობა, განისაზღვრა ის ქალაქები, სადაც უნდა ჩატარებულიყო მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდები, ამასთანავე, მუნიციპალიტეტებს ეთხოვათ საგამოცდო მარშრუტების საგზაო მონიშვნებით უზრუნველყოფა. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში,[13] რომელიც სააგენტოს მიერ წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გათვალისწინებული იყო პრაქტიკული გამოცდის ქუჩაში გასატანად სატრანსპორტო საშუალებების, მოედნების მოწყობის, ავტომანქანებში სხვადასხვა მოწყობილობის შეძენა–მონტაჟისთვის საჭირო თანხები. მიმდინარე მდგომარეობით (2018 წლის დეკემბერი), ***მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდას ჯერ არ დამატებია რეალურ საგზაო პირობებში – დასახლებულ პუნქტებში პრაქტიკული გამოცდის კომპონენტი, შესაბამისად, დაირღვა დირექტივით განსაზღვრული ვადები.***

აუდიტის ობიექტის განმარტებით, პროექტი დროულად ვერ განხორციელდა, ვინაიდან:

- ✓ მართვის მოწმობის გამოცდების ქალაქის რეალურ პირობებში ჩასატარებლად საჭირო იყო მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები სხვადასხვა კანონებში.[14] აღნიშნული კანონების საქართველოს პარლამენტში განხილვა დაიგეგმა 2017-2018 წლების საგაზაფხულო/საშემოდგომო სესიაზე;
- ✓ არ იყო დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურის[15] მოწესრიგება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში (10 მუნიციპალიტეტი);

---

[12] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ 2006/126EC დირექტივის დებულებები.

[13] NMIA91601780380, 18.07.2016.

[14] საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“.

[15] საგამოცდო მარშრუტებზე არსებული გზების კეთილმოწყობა ვერ იქნა უზრუნველყოფილი. აღნიშნულის მიზეზი მუნიციპალიტეტებში არსებული სამუშაოებისთვის თანხების არარსებობაა. ამ ეტაპზე სააგენტომ მიაღწია შეთანხმებას მუნიციპალური განვითარების ფონდთან სამუშაოების ჩატარებაზე 6 მუნიციპალიტეტში, საიდანაც 3

- ✓ ნაწილობრივ მოსაწესრიგებელი იყო საგზაო ინფრასტრუქტურა დახაზვისა და საგზაო ნიშნების განთავსების თვალსაზრისით საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე, რომლის განხორციელება საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრეროგატივაა[16].

სააგენტომ აღნიშნული პროექტის განსახორციელებელი ნაბიჯები გადადგა, მათ შორის, 2017-2018 წლებში შეისყიდა ავტომანქანები, მიკროავტობუსები, მოტოციკლები, აღჭურვა ისინი კამერებით, მოაწყო მოედნები, გადამზადდა გამომცდელი პერსონალი. შესაბამისად, სააგენტომ თავისი ვალდებულება შეასრულა. თუმცა ამ პერიოდში არც საკანონმდებლო ბაზა იყო მოწესრიგებული და არც ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დასრულებული (მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სააგენტოსთვის ცნობილი იყო, რომ მათ აღნიშნული სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო თანხები არ გააჩნდათ).

ცხრილი N3. *ინფორმაცია საგამოცდო მიზნებისთვის 2017-2018 წლებში დახარჯული თანხების შესახებ*

დასახელება	**ღირებულება**
საგამოცდო მანქანები	2,753,585
B კატეგორიის საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა კამერებით და საგამოცდო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფით	1,984,832
თანამშრომლების გადამზადება	169,100
დიდი კატეგორიის მანქანები (ავტობუსი, მიკროავტობუსი, სატვირთო)	923,000
მოტოციკლები	120,000
მარჯვენა მხარის სატერფულები	21,000
სამგზავრო და სატვირთო კატეგორიების საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა კამერებით და საგამოცდო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფით	441,184
ქუთაისის მოედნის მოწყობა	787,876
რუსთავში გამოცდის სტარტის და მოედნის მოწყობა	254,363
ახალციხეში გამოცდის სტარტის მოწყობა	253,505
კერხერები	21,000
სულ:	**7,729,446**

2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, იქიდან გამომდინარე, რომ მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდას ჯერ არ დამატებია რეალურ საგზაო პირობებში – დასახლებულ პუნქტებში პრაქტიკული გამოცდა, 70 ერთეული საგამოცდო SKODA RAPID[17] არ არის

მუნიციპალიტეტში სამუშაოების განხორციელება მიმდინარეობს, ხოლო 3 მუნიციპალიტეტში ტენდერები გამოცხადებულია. 2 მუნიციპალიტეტში, ფოთსა და ზუგდიდში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა გადაიდება რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო.

[16]აღნიშნული სამუშაოები დღეის მდგომარეობით დასრულებულია.

[17] ექსპლუატაციაში შევიდა მხოლოდ 15 ერთეული SKODA FABIA.

ექსპლუატაციაში შესული და გადანაწილებულია სააგენტოსა და სამინისტროს დაცულ/დახურულ ტერიტორიებზე. შესაბამისად, თითქმის ერთი წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში არ იმყოფებოდა 70 ავტომანქანა და მათი გამოყენების ზუსტი ვადის განსაზღვრა ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება. ასევე, ავტომანქანებს დაერიცხათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვეთა 357,965.94 ლარი და ბალანსზე ირიცხება შემცირებული ღირებულებით - 2,395,618.62 ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ავტომანქანებზე საგარანტიო ვადა შეადგენდა მიწოდებიდან 2 წელს, მიუხედავად გარბენისა. აუდიტის პერიოდში, 2018 წლის 8 ოქტომბერს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდა შეთანხმება ავტომანქანებზე გასაწევი საგარანტიო ვადის დამატებით ერთი წლით გაგრძელების შესახებ. რაც შეეხება საგამოცდო სისტემას, რომლის შესყიდვაც სააგენტომ ასევე განახორციელა (ღირებულებით 1,984,832 ლარი), გარანტიის ვადა უკვე ამოწურულია, თუმცა აუდიტის დასრულებისას სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდა შეთანხმება საგარანტიო ვადის დამატებით 1 წლის გაგრძელების შესახებ.

„უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ – პროექტის ფარგლებში ნაადრევად შესყიდული კამერები

სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის განხორციელების საფუძველზე, 2017 წლის 9 აგვისტოს სააგენტომ შესყიდვების სააგენტოს მიმართა ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების, შესაბამისი აღჭურვილობით და თანმდევი მომსახურებით შესყიდვის მიზნით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის მიზნით.

2017 წლის 5 ოქტომბერს სააგენტომ შპს „დელტა კონსალტინგისგან“ შეისყიდა 28 ცალი ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერა, შესაბამისი აღჭურვილობით და თანმდევი მომსახურებით, ღირებულებით – 100,660 ლარი, რაც 2017 წლის 10 დეკემბერს სრულად მიეწოდა სააგენტოს. ვიდეოკამერები უნდა ჩართულიყო შსს-ს ერთიან ოპტიკურ ქსელში.

ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვის საფუძველი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება იყო, რის გამო სააგენტოს უფლება მიეცა[18], ტენდერის გარეშე შეესყიდა საქონელი, ამასთანავე ბაზრის კვლევა

[18] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 სექტემბრის განკარგულება N1961.

სამინისტროს მიერ შესაბამისად იყო ჩატარებული და დოკუმენტირებული (რაც კარგ პრაქტიკაზე მეტყველებს) თუმცა, კამერების 10 თვის განმავლობაში სააგენტოს საწყობში შენახვა მიუთითებს, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარების საფუძველი არ არსებობდა. სააგენტომ კამერები სამინისტროს „ერთობლივი ოპერაციების ცენტრს“ გადასცა 2018 წლის 17 ოქტომბერს. ცენტრის განმარტებით:

„ვიდეოკამერების მონტაჟის შეყოვნება განპირობებულია, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვის სპეციფიკითა და პროცედურების გაჭიანურებით, რომელიც საბოლოოდ დასრულდა 2018 წლის ივნისში და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი წერტილების მოწყობა განისაზღვრა 4 ეტაპად, ხოლო 1-ლი ეტაპი დასრულდა 2018 წლის 1 ნოემბერს.“ დღეის მდგომარეობით, შესყიდული 28 ვიდეოკამერა უკვე ჩართულია შსს-ს ერთიან ქსელში. აღნიშნული სამინისტროს მიერ პროექტის მართვის ზოგად პრობლემას წარმოადგენს. სააგენტოს განმარტებით, მათთვის ცნობილი არ იყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მდგომარეობა.

დასკვნა

საგამოცდო მანქანების შესყიდვა, ასევე ნომრის ამომცნობი კამერების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა და ექსპლუატაციაში გვიან შესვლა მიუთითებს პროექტების არათანმიმდევრულ განხორციელებაზე. კერძოდ, საგამოცდო მანქანების შესყიდვა ერთ-ერთი კომპონენტი იყო ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების (რეალურ საგზაო მოძრაობაში გამოცდის ჩატარება) შესრულებისთვის. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული ვალდებულება შესრულებული არ არის და ვადაგადაცილებულია. **სააგენტოს მიერ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა, თუმცა პროექტის საბოლოო მიზანი ვერ იქნა მიღწეული საკანონმდებლო ბაზისა და მუნიციპალიტეტების მიერ საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწერსრიგებლობის გამო. (რაც მხოლოდ სააგენტოზე დამოკიდებული არ იყო) შესაბამისად:**

- **განხორციელდა ქონებისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვა** (7 მლნ ლარი) რომელიც გამოუყენებელია და არც ექსპლუატაციაში შესვლის ვადაა ცნობილი. საგამოცდო მანქანებს ამოეწურა გარანტიის 2-წლიანი ვადიდან 1 წელი, რაც შეეხება საგამოცდო სისტემას, მას გარანტიის ვადა ამოეწურა, თუმცა ორივე შემთხვევაში სააგენტომ

კომპანიებთან შეთანხმებით დამატებით გააგრძელა გარანტია (1 წლის ვადით), თუმცა 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ავტომანქანები კვლავ არ არის შესული ექსპლუატაციაში.

- **ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვა** – პროექტის არათანმიმდევრულად განხორციელებამ გამოიწვია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვა. კამერები 10 თვის განმავლობაში სააგენტოს საწყობში ინახებოდა, შესაბამისად, „გადაუდებელი აუცილებლობით“ შესყიდვის მოტივი არგუმენტირებული არ არის.

რეკომენდაცია

პროექტების სათანადო მართვისა და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სააგენტომ სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს პროექტების მართვის ისეთი მექანიზმები/ პროცედურები და კონტროლის სისტემა, რომ დაცული იყოს თანმიმდევრულობისა და კოორდინირებულობის პრინციპები.

2.2 სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები – არაკონკურენტული ტენდერები

სააგენტოს მიერ 2017 წლის საკუთარი სახსრების ფარგლებში სულ გამოცხადდა 92 გამარტივებული/ელექტრონული ტენდერი, მათ შორის:

- არ შედგა – 5 ელექტრონული ტენდერი;
- შეწყდა და უარყოფითი შედეგით დასრულდა – 4 ელექტრონული ტენდერი;
- ხელშეკრულება დადებულია – 83 ელექტრონულ ტენდერზე.[19]

კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა 2017 წელს ჩატარებული ტენდერების 43%, რაც ზრდის შესყიდვების არაეკონომიურად განხორციელების რისკებს.

[19] ტენდერის საშუალებით სულ გაფორმებულია 83 ხელშეკრულება, ღირებულებით – 18,610,891.74 ლარი.

დიაგრამა N1. *თანაფარდობა ჩატარებულ ტენდერებსა და მონაწილე პრეტენდენტებს შორის*



ტენდერებში, სადაც მონაწილეობას 2 და მეტი პრეტენდენტი იღებდა, სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის არსებითი სხვაობებია, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი N4. *სხვაობა სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის სხვადასხვა რაოდენობის პრეტენდენტის შემთხვევაში*

პრეტენდენტების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა	სხვაობა (%)
2, 3, 4, 5, 7, 8 და 9	4,092,695.00	3,155,661.95	937,033.05	22.90
1	15,712,962.00	14,990,590.09	722,371.91	4.60

პრეტენდენტების ზრდასთან ერთად იზრდება წარმოქმნილი ეკონომიაც. 2017 წელს ტენდერებში, სადაც კონკურენცია მიმდინარეობდა, ეკონომიამ სულ შეადგინა 937,033.05 ლარი.

ტენდერებში პრეტენდენტების სიმცირეს უმეტეს შემთხვევებში სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტენდერი ბაზრის კვლევის ეტაპზე წარმოდგენილი ყველაზე დაბალი ფასით, ან/და წინა წელს განხორციელებული შესყიდვის ფასით ცხადდება, რაც იწვევს ტენდერებში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობას.

ტენდერებში პრეტენდენტების სიმცირეს შემდეგი ფაქტორებიც განაპირობებს, რაც განხილულია ქვემოთ (იხ. ქვეთავები: 2.2.1; 2.2.2;).

2.2.1 შესყიდვის საშუალების არასწორად შერჩევა

<u>მართვის მოწმობის საგამოცდო ავტომანქანების შესყიდვა</u>

საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება ადგენს სპეციალიზებულ კლასს მიკუთვნებული ავტომანქანების შესყიდვის კრიტერიუმებს. დადგენილების შესაბამისად, განსხვავებული მონაცემების ავტომანქანის შესყიდვა უნდა შეთანხმდეს სამთავრობო კომისიასთან.[20]

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით, ***გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდვის განხორციელება*** შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის **ექსკლუზიური** უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

2017 წლის 14 ივნისს, 85 ერთეული საგამოცდო და ერთი ერთეული საპროტოკოლო ავტომანქანის შესყიდვის მიზნით,[21] გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი,[22] სავარაუდო ღირებულებით – 3,085,555 ლარი. შესყიდული საგამოცდო მანქანები მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სპეციალიზებულ კლასს მიკუთვნებული პარამეტრებისგან განსხვავებული იყო,[23] თუმცა მათი შესყიდვისას არ მომხდარა სამთავრობო კომისიასთან შეთანხმება, რასაც ითვალისწინებს მთავრობის დადგენილება.

რაც შეეხება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ავტომანქანის ტექნიკური მახასიათებლების პარამეტრებს, ისინი ზედმიწევნით ზუსტად იყო განსაზღვრული, მაგალითად:

---

[20] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილი კომისია.

[21]პრაქტიკული გამოცდისთვის განკუთვნილი ავტოპარკი, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ სააგენტოს სპეციალიზებულ ავტოდრომებზე, საჭიროებდა განახლებას.

[22] SPA170008163

[23]ცხენის ძალა დადგენილებით არანაკლებ 102, მოთხოვნილია – 85-90; ძრავა დადგენილებით არანაკლებ – 2.2, მოთხოვნილია – 1598-1600; დადგენილებით მოთხოვნილია მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი, ხოლო ტენდერით მოთხოვნილია – 6-საფეხურიანი ავტომატიკა.

სურათი N1. *სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პარამერტები (SKODA FABIA-ს მაგალითზე)*

სიგრძე - 3990-4000 მმ
სიგანე სარკეებიანად - 1955-1965 მმ
სიმაღლე ამაღლებული კლირენსით - 1480-1490 მმ
ძრავა - 1598-1600 მმ^3

სააგენტოს განმარტებით, ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა იქიდან გამომდინარე, რომ *„განახლებულ ელექტრონულ ავტოდრომებზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები 2011 წლიდან სიგნალს იღებენ სპეციალური ელექტრონული კაბელის მეშვეობით. ყველა ავტოდრომზე ე.წ. გაჭრა და სიგნალის კაბელების განთავსება მოხდა SKODA FABIA-ს ზომებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. მანქანაზე არსებული სიგნალის მიღების სენსორები ე.წ. RX MODULE იმპულსურ სიგნალს იღებენ მიწაში არსებული 12 ვ. LFMC კაბელის მეშვეობით. ნებისმიერი ზომისა და სტანდარტის ცვლილება, სატრანსპორტო საშუალებაზე გამოიწვევდა აღნიშნული სიგნალის არასწორ მიღებას, რაც საბოლოო ჯამში შეაფერხებდა უშუალოდ საგამოცდო და სამუშაო პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდებოდა ავტოდრომებზე საფარის აყრა, თავიდან დაგება, გაჭრა, კაბელის განთავსება, გამართვა-დარეგულირება, რაც დროისა და მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული“.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოსთვის ცნობილი იყო, რომ აღნიშნულ მოედანზე საგამოცდო მანქანად მხოლოდ SKODA-ს მახასიათებლები იქნებოდა შესაფერისი. ტენდერის გამოცხადებამდე, ბაზრის კვლევის პირობებში წინადადება დაეგზავნა 4 კომპანიას: სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“, შპს „იბერია ავტო ცენტრს“, შპს „ტოიოტა ცენტრ თბილისს“, შპს „ტოიოტა ცენტრ თეგეტას“.[24] ბაზრის კვლევით, მოთხოვნილ პარამეტრებს აკმაყოფილებდა მხოლოდ შპს „იბერია ავტო ცენტრი“, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კომპანიამ სააგენტოს მიაწოდა 15 ერთეული SKODA FABIA, 70 ერთეული SKODA RAPID და ერთი ერთეული – SKODA SUPER B, ჯამური ღირებულებით – 3,309,798.82 ლარი.

[24] მონაწილე პრეტენდენტებიდან ს.ს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ მხოლოდ საპროტოკოლო მანქანა შესთავაზა, შპს „ტოიოტა ცენტრ თეგეტას“ წინადადება არ წარმოუდგენია, ხოლო შპს „ტოიოტა ცენტრ თბილისს“ მითითებული ჰქონდა, რომ ქარხნულად შეუძლებელი იყო მიეწოდებინა სააგენტოს მიერ გამოგზავნილი სპეციფიკაციის ავტომანქანა, რაც შეეხება სატერფულის დამატებით დამონტაჟებას, ასევე ვერ შეირჩა კომპანია, რომლის ხარისხს „ტოიოტა“ ენდობოდა და გაავრცელებდა გარანტიას.

გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს საგამოცდო მოედანი მოწყობილი ჰქონდა SKODA-ს ზომებისა და სტანდარტების გათვალისწინებით და მინიმალური გაბარიტების შეცვლა გამოიწვევდა საგამოცდო სიგნალის არასწორ მიღებას, ტენდერის გამოცხადება არარელევანტური იყო, ვინაიდან თავიდანვე ცნობილი იყო, რომ აღნიშნული ტენდერი კონკურენტულ გარემოს ვერ შექმნიდა.

<u>საპატრულო პოლიციის მანქანების შესყიდვა</u>

სააგენტო ხშირ შემთხვევაში ტენდერებს აცხადებს სამინისტროს ან/და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნის საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ სააგენტო საკუთარი შემოსავლების გამოყენებით შეისყიდის სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის საქონელს და სასაქონლო გრანტის სახით გადასცემს მას შესაბამის უწყებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტო ტენდერს ყოველგვარი წინასწარი პროცედურების გარეშე, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ (მაგალითად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი) მოწოდებული ტექნიკური მახასიათებლებით აცხადებს.

სამართლებრივი თვალსაზრისით, შსს-ს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველად სააგენტო ითვლება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კონტროლის განხორციელების მიზნით, დაგეგმვის ეტაპზევე ჩაერთოს სააგენტო შესყიდვის ყველა პროცედურაში. ამასთანავე, როგორც შემსყიდველმა ორგანიზაციამ, მიიღოს გადაწყვეტილება შესყიდვის ტიპის შესახებ და დაგეგმოს შესაბამისი პროცედურები.[25]

2017 წლის 14 ივნისს **საპატრულო პოლიციის 176 ერთეული** სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით, სააგენტოს მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით – 8,709,250 ლარი.

სააგენტოს მიერ ტენდერის გამოცხადებამდე ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა – არც ფასის და არც მახასიათებლების დადგენის მიზნით და ტენდერი საპატრულო პოლიციის მიერ განსაზღვრული ტექნიკური პირობებით გამოცხადდა. შესაბამისად, ბაზრის კვლევაც ჩაატარა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა. წინადადება დაეგზავნა 6 კომპანიას,[26] ხოლო

[25] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 6.

[26] შპს „იბერია ავტო ცენტრი“, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“, შპს „კია მოტორს ჯორჯია“, ს.ს „ფრანს ავტო“, ს.ს „ლიონ ავტო“, შპს „თეგეტა მოტორსი“.

შეთავაზება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა.[27] სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო „იბერია ავტო ცენტრმა“ და მასთან 2017 წლის 14 აგვისტოს 165 ერთეული SKODA OCTAVIA და 11 ერთეული SKODA SCOUT მიწოდებაზე გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 8,642,860.0 ლარი.

საპატრულო პოლიციის მანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით, პრობლემა გამოვლინდა შემდეგი მიმართულებით:

სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა, თუ რა აუცილებელ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისთვის გამოსაყენებელი (საპატრულო) ავტომობილები, შესაბამისად, ყოველ ჯერზე ხდება ისეთი ავტომობილების შესყიდვა, რომელთა პარამეტრები და ექსპლუატაციის ხარჯები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან და ამავდროულად შესაბამისობაშია ავტომანქანის კონკრეტულ მოდელთან. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, როდესაც განხორციელდა FORD-ის მარკის (POLICE INTERCEPTOR მოდელის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა, სამინისტროს არგუმენტი (გაანგარიშების გარეშე) იყო, რომ აღნიშნული ავტომანქანები ყველაზე აპრობირებული იყო სახაზო-საპატრულო დანიშნულებისთვის[28] და სატენდერო მახასიათებლები განისაზღვრა აღნიშნული მოდელის მიხედვით, თუმცა დეპარტამენტისთვის არახარჯთეფექტიანი აღმოჩნდა 2014 წელს განხორციელებული შესყიდვა და 2017 წელს FORD-ის მარკის ავტომანქანების ჩანაცვლება გადაწყდა SKODA-ს ფირმის ავტომანქანებით. ამ შემთხვევაში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია SKODA-ს და FORD-ის მოდელების შედარების შესახებ, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი N5. *ავტომანქანების შედარება*

ფინანსური შედარება 2017 წლის მონაცემებით	
FORD POLICE INTERCEPTOR	**SKODA OCTAVIA**
ერთეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულება (ლარი)	
70,553 ლარი	46,886 ლარი
დაზღვევის ღირებულება 1 წლის განმავლობაში	
25.33%	13.62%
17,871 ლარი	6,386 ლარი
საწვავის ხარჯი 100 კმ - ზე	
16.89 ლიტრი	10.77 ლიტრი
27.87 ლარი	17.77 ლარი

[27] ერთმა კომპანიამ წინადადება არ წარმოადგინა, ხოლო 4 კომპანიას მითითებული ჰქონდა, რომ მოთხოვნილი[27] სპეციფიკაციის ავტომობილები მათ სამოდელო რიგში არ ჰყავდათ. ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსგავსი სპეციფიკაციების მქონე ავტომანქანის (SKODA) შემოყვანა მხოლოდ შპს „იბერია ავტო ცენტრს“ შეეძლო.

[28] განხილულია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ სააგენტოს 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, FORD-თან შედარებით, SKODA-ს სახით, შესყიდულია ეკონომიური მანქანები, თუმცა დეპარტამენტის მიერ ანალოგიური შედარება არ არის გაკეთებული SKODA-ს და სხვა მსგავსი ავტომანქანების შემთხვევაში, რაც უზრუნველყოფდა რწმუნებას, რომ ტენდერში დეტალური მახასიათებლები განისაზღვრა ჩატარებული ხარჯთეფექტიანობობისა და ქვეყნის გზებისთვის მისაღები ხარისხის საპატრულო მანქანების შესყიდვის მიზნით.

აუდიტის სამსახურმა მოიძია ინფორმაცია სხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის შესახებ. შედეგად გამოვლინდა, რომ SKODA საპატრულო საქმიანობისთვის მისაღები ხარისხის, ეკონომიური ავტომანქანაა. კერძოდ, ევროპის ბევრ ქვეყანაში (ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, მოლდოვა, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ისრაელი და ა.შ.) გამოიყენება აღნიშნული მარკის ავტომანქანები საპოლიციო საქმიანობისთვის, თუმცა არის განსხვავებული პრაქტიკაც. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებობდეს საპატრულო პოლიციის ავტომანქანის სტანდარტული კრიტერიუმები, რომლებიც გამორიცხავს სხვადასხვა წლებში არაეკონომიური და ქვეყნის გზებთან ნაკლებად თავსებადი ავტომობილის შესყიდვას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღნიშნული კრიტერიუმები დადგინდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოს ტენდერში გარკვეული კონკურენცია. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებული იქნება ზუსტი კრიტერიუმების აუცილებლობა და საჭირო იქნება კონკრეტული მოდელის ავტომანქანის შესყიდვა, ტენდერის ფორმალურად გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი პრაქტიკა და ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს.

დასკვნა

სააგენტოს მიერ **საგამოცდო მანქანების** შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი (მანქანების მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე) არაკონკურენტული იყო. კონკრეტული მოდელისა და სპეციფიკაციების ავტომანქანის შესყიდვა აუცილებელი იყო უკვე შექმნილი წინაპირობებიდან და ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე. შესაბამისად, ასეთ პირობებში ტენდერის გამოცხადება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არსებითად სცდება შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესყიდვის ელექტრონული წესით განხორციელების პრინციპს. საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულია ექსკლუზიური შესყიდვა, შესაბამისი პირობების არსებობისას. ექსკლუზიური შესყიდვა მთავრობასთან შეთანხმებას და მეტი არგუმენტის წარდგენას, შესაბამისად, უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, არ გამოცხადდეს ტენდერი ფორმალურად და სააგენტოს

გადაწყვეტილებები კონკრეტულ შესყიდვასთან მიმართებით იყოს უფრო მეტად არგუმენტირებული.

რაც შეეხება **საპატრულო მანქანებს,** არ არსებობს დადგენილი/დამტკიცებული კრიტერიუმები, რომელთაც აღნიშნული მანქანები უნდა აკმაყოფილებდეს. სხვადასხვა წლებში ჩატარებულ ტენდერებში ტექნიკური მახასიათებლები განსხვავებულია და შესაბამისობაშია ავტომანქანის კონკრეტულ მოდელთან. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ქვეყნების გამოცდილებით, SKODA, რომლის შესყიდვა 2017 წელს განხორციელდა, საპოლიციო საქმიანობისთვის მისაღები ხარისხის მარკაა, თუმცა არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ავტომანქანის კონკრეტული პარამეტრების უკეთესი დასაბუთება (რაც უზრუნველყოფს მინიმალურ კონკურენციას) და მისი შემდგომი მოვლა-შენახვის ეკონომიურობის გაანგარიშება, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დასაბუთებით კონკრეტული მოდელის პარამეტრები შეირჩევა, მნიშვნელოვანია ტენდერი არ გამოცხადდეს ფორმალურად.

რეკომენდაცია

1. მნიშვნელოვანია, სააგენტომ ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოებისას, განსაზღვროს შესყიდვის განხორციელების არგუმენტირებული საშუალება, კერძოდ, თუ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად, შეისყიდოს გამარტივებული შესყიდვის ფორმით (ექსკლუზივი).
2. საპატრულო მანქანების ეკონომიურად შესყიდვის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ავტომანქანის ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, რაც საჭიროა ქვეყნის რეალობაში საპატრულო პოლიციის საქმიანობისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღნიშნული მახასიათებლები იყოს იმგვარი, რომ მიუხედავად სპეციფიკურობისა, უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს შექმნის მინიმალური სტანდარტი.

2.2.2 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული არაპროპორციული მოთხოვნები

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ✓ მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების შეფასება;
- ✓ ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასება;
- ✓ სანდოობის შეფასება.

საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების წაყენებით ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია ხორციელდება იმისათვის, რომ მოთხოვნები არ განისაზღვროს შაბლონურად. ამასთანავე, ყოველი ცალკეული მოთხოვნისას, კონკურენციის მაქსიმალური დონის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია, დაცული იყოს ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები. არაპროპორციულად მაღალი მოთხოვნებით, ტენდერში მონაწილეობისგან, პირველ ყოვლისა, მცირე და საშუალო ბიზნესი იზღუდება.[29] შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ პრეტენდენტებისთვის დაწესებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მაგალითად, ტენდერის სავარაუდო ღირებულება და პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობებისა და სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა უნდა იყოს თანაბარზომიერად და სამართლიანად განსაზღვრული. სააგენტოს განმარტებით, 2018 წელს გამოცხადებულ ტენდერებში პრეტენდენტებისთვის დაწესებული მოთხოვნები პროპორციულია სავარაუდო ღირებულებასა და შესასრულებელ სამუშაოსთან/მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში.

***ცხრილი N6**: ინფორმაცია 2017 წელს არაპროპორციული მოთხოვნებით გამოცხადებული ტენდერების შესახებ*

შესყიდვის ობიექტი	**პრეტენდენტი**	**სავარაუდო ღირებულება**	**სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები**	**მიგნება**
გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	შპს GIOX	42,000	ფინანსური ბრუნვა 100,000 ლარი[30]	სატენდერო წინადადებით განსაზღვრული მოთხოვნა ფინანსური ბრუნვის შესახებ, არაპროპორციულია ტენდერების სავარაუდო ღირებულებასთან, აღნიშნული კი შესაძლოა ზღუდავდეს სხვა პრეტენდენტების ტენდერში მონაწილეობას.
	შპს „ელსელემა“	26,800		
დასუფთავება	შპს „სუფთა სამყარო“, ამხანაგობა „უნიქლინ მასტერი“	140,808	საბიუჯეტო ორგანიზაციაში 8- წლიანი სამუშაო გამოცდილება	არაპროპორციულმა მოთხოვნამ გამოიწვია ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება (ასეთი გამოცდილება არც ერთ კომპანიას არ ჰქონდა)
დასუფთავება	შპს „სუფთა სამყარო“, შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი“	73,800	ფინანსური ბრუნვა 250,000	სატენდერო წინადადებით განსაზღვრული მოთხოვნა ფინანსური ბრუნვის შესახებ, არაპროპორციულია ტენდერების სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით
უწყვეტი კვების წყარო (UPS)	შპს „ენსოლი“, შპს „ალტა“	115,300	მწარმოებლის 10- წლიანი გამოცდილება	პრეტენდეტების მიმართ არაპროპორციული მოთხოვნები შესაბამისი საჭიროების დაუსაბუთებლად

[29] შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითება „მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის“;

[30] 2016 წლის პირველი იანვრიდან ტენდერის დასრულებამდე.

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში ბაზრის კვლევის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული არაპროპორციული მოთხოვნები და ზედმიწევნით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრები, წარმოშობს რისკებს იმისა, რომ ტენდერები არაკონკურენტულ გარემოში ჩატარდეს.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მნიშვნელოვანია პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნების განსაზღვრისას, სააგენტომ უზრუნველყოს სატენდერო მოთხოვნების პროპორციულობისა პრინციპის დაცვა, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის დაბალანსებულად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ტენდერებში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და შესაძლებელს გახდის სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.3 შესყიდული ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენება

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2017 წელს სააგენტომ შეისყიდა საპატრულო პოლიციისა და საგამოცდო ავტომანქანები. 2017 წლის ოქტომბერში, სააგენტოს დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსიდან სააგენტოს უკან დაუბრუნდა 6 ერთეული საპატრულო ავტომანქანა, რომლებიც პატაკების საფუძველზე განპიროვნდა სააგენტოს თანამშრომლებზე.

სააგენტომ არადანიშნულებისამებრ გამოიყენა ასევე 2017 წელს შესყიდული საგამოცდო ავტომანქანებიდან **4 საგამოცდო ავტომანქანა (SKODA RAPID), რომლებიც განპიროვნებულია სააგენტოს თანამშრომლებზე.** აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ თანამშრომლებზე სხვა ავტომანქანები მანამდეც განპიროვნებული იყო, ხოლო მოთხოვნის პატაკებიდან არ ჩანს მათი ჩანაცვლების აუცილებლობა.

განპიროვნებული ავტომანქანები თავისი მონაცემებით, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ კლასს მიკუთვნებულ პარამეტრებს აღემატებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული იყო,[31] თუმცა მისი შესყიდვისას არ მოხდა სამთავრობო კომისიასთან

[31] დადგენილებით გათვალისწინებულია მექანიკურ გადაცემათა კოლოფი, ხოლო შესყიდული ავტომანქანების გადაცემათა კოლოფი, ავტომატიკაა.

შეთანხმება, ვინაიდან აღნიშნული მანქანები შესყიდული იყო საპატრულო პოლიციის (ოპერატიულ-სამძებრო) საქმიანობისთვის.[32]

დასკვნა

სააგენტომ დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა 10 ავტომანქანა. გამომდინარე იქიდან, რომ ავტომანქანების შესყიდვის განხორციელების საფუძველი მათი საგამოცდოდ და პატრულირებისთვის გამოყენება იყო, მათი თანამშრომლებზე განპიროვნება არ იყო მიზანშეწონილი. ამასთანავე, მსგავსი პარამეტრების ავტომანქანების შესყიდვის შემთხვევაში, სააგენტოს ესაჭიროებოდა სამთავრობო კომისიისთვის შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტის წარდგენა, რაც სააგენტოს არ გაუკეთებია.

2.4 ხარჯთაღრიცხვის არასწორად შედგენის შედეგად ზედმეტად გადარიცხული თანხები

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სატენდერო ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებაში არსებული ხარვეზი, თავის მხრივ, წარმოშობს ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

სააგენტოს მიერ სამშენებლო კომპანიებისთვის ჯამურად ზედმეტად გადახდილია 16,517 ლარი,[33] მიზეზი კი სააგენტოში დანერგილი კონტროლის ნაკლოვანებაა.[34] ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი კონტროლი არ ხორციელდება, რაც იწვევს ზოგიერთ სამუშაოთა მოცულობისა და შესაბამისად, მათი ღირებულებების ზრდას. სააგენტომ თანხის დაბრუნების მიზნით მიმართა სამშენებლო კომპანიებს, რის საფუძველზე სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დღეის მდგომარეობით დაბრუნებულია 7,925.77 ლარი.

რეკომენდაცია

საკუთარი სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს შესასყიდი სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების სწორი გაანგარიშება, შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, როგორც სატენდერო ხარჯთაღრიცხვის

[32] აღნიშნული ავტომანქანა 2017 წლის 25 აგვისტოს შპს „იბერია ავტო ცენტრმა“ სსიპ – მომსახურების სააგენტოს ერთი ერთეული SKODA SCOUT-ის ნაცვლად იმავე ფასში შესთავაზა, რომელიც შედარებით მაღალი კლასის, გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტომობილი იყო (SKODA SUPER B COMBI), ღირებულება შეადგენდა 31,900 ევროს (9,900 ევროთი მეტს, ვიდრე SKODA SCOUT, ამასთანავე, გააჩნდა 2.0 ძრავი და ჰქონდა 100 ცხენის ძალით მეტი სიმძლავრე და სხვა დამატებითი აღჭურვილობები.

[33] 2016 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულებები N620 და 2017 წლის 10 ნოემბრის – N385;

[34] სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით 2017 წელს სულ გაფორმებულია 8 ხელშეკრულება, ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხები ორი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა.

შედგენის, ასევე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების დროს. სააგენტომ უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების სახაზინო ანგარიშზე დაბრუნება.

2.5 სასაქონლო და ფულადი გრანტების მიზანშეწონილობის საკითხები

სააგენტოს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკუთარი შემოსავლებიდან ***9,817,800*** ლარი ნაშთის სახით ერიცხებოდა. 2017 წელს შემოსულობების სახით მიიღო 75,453,651 ლარი. წლის ბოლოს სააგენტოს ნაშთი გაეზარდა, რამაც **10,967,016.48 ლარი** შეადგინა (იხ. ცხრილი N1). გარდა თავისუფალი ნაშთისა, სააგენტო აფინანსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა უწყებას სხვადასხვა ფორმით, კერძოდ:

- ✓ სააგენტო აფინანსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს, რამაც 2017 წელს ***9,225,380.28 ლარი*** შეადგინა;
- ✓ გადასცემს ფულად სახსრებს ტრანსფერის საშუალებით შსს-ს მმართველობის ქვეშ შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რამაც ***1,018,000.00 ლარი*** შეადგინა;
- ✓ სააგენტო თვითონ ახორციელებს შესყიდვას შსს-ს სხვა სტრუქტურული ერთეულის საჭიროებისათვის და შესყიდულ საქონელს გადასცემს მათ, სასაქონლო გრანტის სახით – ***10,207,332.30 ლარი.***

შესაბამისად, 2017 წლის მონაცემებით, სააგენტო, დაახლოებით, **20,5 მლნ ლარს** არ იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. ინფორმაცია ფულადი და სასაქონლო გრანტის სახით გაცემული თანხების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

ცხრილი N7. *2017 წელს სააგენტოს მიერ ფულადი გრანტის სახით გაცემული თანხების შესახებ*

#	ორგანიზაცია	დანიშნულება	სულ თანხა:
1	შინაგან საქმეთა სამინისტრო	საწვავის ხარჯი	4,927,790.79
		კვების ხარჯი	712,753.87
		ფორმების შეძენის ხარჯი	373,199.00
		პერსონალის დაზღვევა	1,727,863.78
		ფურნიტურის შეძენა (სამკერდე ნიშნები)	60,744.00
		კარვების შეძენა	21,498.96
		სპეც. აღჭურვილობა	166,062.00
		ელექტროენერგიის ხარჯი	105,684.57
		ბუნებრივი აირის ხარჯი	117,485.25
		წყლის ხარჯი	123,860.40
2	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	ა/მანქანების დაზღვევის ხარჯი	888,437.66
3	სსიპ – „112“	ფული	1,000,000.00
4	შსს-ს აკადემია	ფული	18,000.00
სულ:			**10,243,380.28**
მოგების გადასახადი:			**1,536,507.04**

ცხრილი N8. *ინფორმაცია 2017 წელს სააგენტოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულისთვის განხორციელებული შესყიდვების შესახებ*

ტენდერის N	შესყიდვის ობიექტი	სტრუქტურული ქვედანაყოფი	ხელშეკრულების ღირებულება
SPA170008162	პატრულის მანქანები	საპატრულო პოლიცია	9,158,849.30
SPA170009710	საავტომობილო ვიდეოკამერა	საპატრულო პოლიცია	28,899.00
SPA170009708	საჯარიმო პრინტერი	საპატრულო პოლიცია	92,144.00
SPA170009729	საავტომობილო ბორტ-კომპიუტერი სადგამი დაფით	საპატრულო პოლიცია	597,640.00
SPA170009705	საავტომობილო ციმციმა (ხმამაღლა მოლაპარაკით, მონტაჟით)	საპატრულო პოლიცია	329,800.00
სულ:			**10,207,332.30**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე[35], სსიპ-ს აქვს უფლება თავისი სახსრები გადასცეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალ სხვა პირს მისი მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად. ამასთანავე, სააგენტოს დებულებით, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული, განსაზღვრულია, რომ სააგენტომ მის მიერ მიღებული შემოსავლები უნდა მოახმაროს, როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების (საქმიანობის) განხორციელებას, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარებას.[36] შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს **კანონიერ პროცესს.**

თუმცა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთი ან მისი ნაწილი მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამრიგად, სააგენტო საკუთარი სახსრებით სამინისტროს გარკვეულ ხარჯებს აფინანსებს, ისე, რომ ეს ხარჯები სამინისტროს დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. არსებული პრაქტიკით, ის აქტივობები, რასაც სამინისტროს აპარატი არ ითვალისწინებს

[35] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.
[36] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 17 იანვრის N56 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

ბიუჯეტის დაგეგმვისას (თუმცა აღნიშნულის საჭიროება გააჩნია), ხდება სააგენტოს დაფინანსების ობიექტი.

ზემოაღნიშნული გარემოებები, მისი მოცულობიდან გამომდინარე, უარყოფით გავლენას ახდენს:

- ✓ უშუალოდ სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულების პროცესზე. იგი ბიუჯეტით დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებსა და შესრულების მაჩვენებლებს შორის არსებული მნიშვნელოვანი გადახრების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.
- ✓ ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება ხორციელდება საბიუჯეტო პროცესისგან დამოუკიდებლად, რაც შეიცავს რისკს, რომ სააგენტოს მიერ დაფინანსდეს სამინისტროს ისეთი აქტივობები, რომელიც საბიუჯეტო პროცესის პირობებში შესაძლოა უარყოფილი ყოფილიყო.
- ✓ სააგენტო კონტროლს ვერ ახორციელებს აღნიშნულ პროცესზე, რაც ზრდის საკუთარი სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკს (სასაქონლო გრანტის შემთხვევაში, სააგენტო უშუალოდ არის შემსყიდველი, თუმცა ის არ ახორციელებს ბაზრის კვლევას და მოქმედებს სხვა უწყების დავალების შესაბამისად).

დასკვნა

2017 წლის მონაცემებით, სააგენტოს 20,5 მლნ ლარზე მეტი რესურსი გააჩნია თავისუფალ განკარგვაში. აღნიშნული თანხა ან მისი ნაწილი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, ამ სახსრებით ფინანსდება ისეთი აქტივობები, რომლებიც სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. აღნიშნული პროცესი ხორციელდება საბიუჯეტო პროცესებისგან დამოუკიდებლად, რაც ასევე უარყოფითად აისახება სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულების პროცესზე და წარმოშობს კონტროლის რისკებს, ვინაიდან სააგენტოდან რესურსების განკარგვა ხორციელდება სააგენტოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და ჩასატარებელი პროცედურების გარეშე.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, სააგენტომ და სამინისტრომ უზრუნველყონ სააგენტოს შემოსულობებისა და გადასახდელების, ასევე მისი საქმიანობისთვის აუცილებელი ფულადი რესურსებისა და თავისუფალი ნაშთის ოდენობების გაანალიზება. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღება თავისუფალი ნაშთის ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის საკითხის შესახებ.

2.6 ა(ა)იპ – MIA FORCE-ის მიერ მიღებული გრანტის ხარჯვა

2011 წლის 21 ივლისს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სპორტული კლუბი MIA FORCE. კლუბის საქმიანობის მიზანია სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება. კლუბის დაფინანსების ძირითადი წყაროა სააგენტოს მიერ გრანტის სახით გადარიცხული თანხები და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი).

ცხრილი N9. *ინფორმაცია ა(ა)იპ – MIA FORCE-ის მიერ 2017 წელს მიღებული შემოსულობების შესახებ*

შემოსავლის კატეგორია	**თანხა**
შემოსულობები	4,152,261
მათ შორის:	
მიმდინარე გრანტი (სააგენტოსგან მიღებული)	3,750,000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (რეკლამიდან შემოსავლები)	364,505.75
წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები	9,200
ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის	28,556

ა(ა)იპ – MIA FORCE-ის წესდება ითვალისწინებს, რომ მას უფლება აქვს სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისთვის მოიძიოს უცხოური სუბსიდიები, ასევე უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება უნდა

მოხმარდეს კლუბის მიზნების რეალიზებას. მიუხედავად წესდებით გათვალისწინებული დაფინანსების მოძიების შესაძლებლობისა, სპორტული კლუბი ძირითად დაფინანსებას სააგენტოდან იღებს. უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის საქმიანობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული სამინისტროსა და სააგენტოს საქმიანობასთან.

სააგენტოს მიერ 2017 წელს ააიპ „MIA FORCE"-სთვის სულ გადარიცხული აქვს 3,750,000 ლარი, საიდანაც 1,735,445 ლარი, 2016 წლის მთავრობის N2451 განკარგულების შესაბამისად, რუსთავში ავტორბოლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის ჩატარებისთვის არის დახარჯული.

ძარიან ავტომობილებში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა 10 ეტაპად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელშიც MIA FORCE-ის ქართველი პილოტი/მრბოლელი იღებდა მონაწილეობას. სპორტული ბოლიდით (ALFA ROMEO) სარგებლობისა და მისი ტექნიკური მომსახურება MIA FORCE-მ გამარტივებული შესყიდვის ფორმით (ექსკლუზივი) შეისყიდა კომპანია ROMEO

FERRAEIS S.R.L. IN BRAVE FERRARIS S.R.L-სგან, ღირებულებით – 1,328,166.83 ლარი[37] (აღნიშნული ხარჯიც სააგენტოს მიერ გადარიცხული გრანტით არის დაფინანსებული).

ძარიანი სატრანსპორტო საშუალებების რბოლების (TCR საერთაშორისო სერიები) 2017 წლის ერთი ეტაპის ორი ტურის საქართველოში ჩატარების მომსახურების შესყიდვის მიზნით, ა(ა)იპ – MIA FORCE და TCR touring Car Racing SA-ს შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით (ექსკლუზივი) გაფორმდა ხელშეკრულება,[38] ღირებულებით – 500,000 ევრო.

ცხრილი N10. *ინფორმაცია MIA FORCE და TCR touring Car Racing SA-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე*

დასახელება	**თანხა (ევრო)**
TCR მანქანების და დამატებითი ნაწილების ტრანსპორტირება თბილისში საჰაერო ტრანსპორტირებით	200,000
TCR მანქანების და დამატებითი ნაწილების ტრანსპორტირება თბილისიდან ბაჰრეინში (II ეტაპი)	100,000
TCR პესონალის მოგზაურობის ხარჯები	55,000
TCR TV გრაფიკი და TV დადგმა	15,000
TCR პრომოს გაშვება	7,000
TCR მაუწყებლობის საფასური ტელეარხებზე	23,000
TCR შესატანი რუსთავის ავტოდრომისთვის	100,000
სულ:	**500,000**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გასაწევი მომსახურების მახასიათებლები, რომ შემსყიდველს მიღება-ჩაბარების ეტაპზე მიეცეს შესაძლებლობა, შეაფასოს შესყიდული ობიექტი შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან სპეციფიკაციებს, რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დაეკმაყოფილებინა მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებას. მაგალითად:

ხელშეკრულებაში არ ჩანს თითოეული კომპონენტის ფასი, შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება რამდენად ეკონომიურად გაფორმდა ხელშეკრულება;

წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ დასტურდება ღონისძიებაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. არ არის ნათლად გაწერილი მანქანების ჩამონათვალი და რაოდენობა, რომლის ტრანსპორტირებას ჯამში 300,000 ევრო დასჭირდა. ასევე, კონკრეტულად რამდენი ადამიანის

[37] აღნიშნული თანხაც სააგენტოს მიერ გადარიცხული გრანდიტან არის გახარჯული.
[38] 2017 წლის 8 მარტი, N6.

ტრანსპორტირებას დასჭირდა 55,000 ევრო. აღნიშნული ღონისძიება იყო მასშტაბური და შუქდებოდა მედიასაშუალებებით, თუმცა დოკუმენტურად ფინანსების დეტალური განკარგვის შესახებ ინფორმაცია ვერ დასტურდება, რაც კონტროლის ნაკლოვანებაა.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგრადობისა და შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია საგენტომ ა(ა)იპ-თან ერთად შეიმუშაოს ა(ა)იპ-ის განვითარების სტრატეგია (შემოსავლების მიღებისთვის) და უზრუნველყოს შესაბამისი ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის სპორტულ კლუბში მიმდინარე ღონისძიებებს.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი	**ხელმოწერა**	**თარიღი**
მეგი კოდომვილი უფროსი აუდიტორი		06.02.2019
ვალერი სანაია წამყვანი აუდიტორი		06.02.2019
თამარ ბურჯანაძე აუდიტორ-ასისტენტი		06.02.2019
ქეთევან ჩახვაძე აუდიტორ-ასისტენტი		06.02.2019
თორნიკე კაპანაძე აუდიტორ-ასისტენტი		06.02.2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38